ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31253003**
თარიღი: **27/10/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დარეჯან ბურჭულაძის მოსახლეობასთან შეხვედრისა და 2025 წლიდან დღეის მდგომარეობამდე გაწეული მუშაობის ანგარიში

შეხვედრის ადგილი: ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის შენობა.

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 16 ოქტომბერი, 2025 წელი,13:00 საათი.

საანგარიშო შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს ხელძღვანელი) ნიკოლოზ კოზანაშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა და საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, სპორტული ცენტრის თანამშრომლები.

საკრებულოს წევრმა დარეჯან ბურჭულაძემ საანგარიშო მოხსენებაში ისაუბრა საკრებულოსა და იმ კომისიების მუშაობის შესახებ რომლის წევრიცაა. ზოგადად მიმოიხილა იურიდიულ საკითხთა და ეთიკის და სოციალურ საკითხთა ,განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების მუშაობა და აღნიშნა , რომ მას ყოველდღიურ რეჟიმში უწევს მოსახლეობასთან შეხვედრა და მათგან წამოსული საკითხების გაჟღერება კომისიებსა და საკრებულოს სხდომებზე. მოკლედ მიმოიხილა ის სოცილაური პროგრამები, რომლითაც სარგებლობა შეუძლიათ მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა ამა თუ იმ კატეგორიას.

მომხენებელმა აღნიშნა რომ, საქმიანი ურთიერთობა აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. განსაკუთრებული ყურადღრება გაამახვილა და ისაუბრა მუნიციპალიტეტში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. კერძოდ, რომ მოეწყო შპს“ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ საქმიანი ეზო; დასრულდა ბაგრატიონის, ბესიკის, გოგებაშვილის, ებრალიძის, თამარ მეფის, რ.ებრალიძის, საფო მგელაძის, ჩაჩავას , ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაცია; გურიის ქუჩაზე მოეწყო ხელოვნურსაფრიანი მოედანი; მოხდა თბილისის სრულად და თამარ მეფის ქუჩის გარკვეული მონაკვეთის რეაბილიტაცია; მიმდინარეობს ჩხაიძის ქუჩაზე და ლაშისღელეში ხელოვნურსაფრიანი მოედნების რეაბილიტაცია; დაგეგმილია თავისუფლების, კვირკველიას, ტაბიძის, კუპრეიშვილის და საფო მგელაძის ქუჩების სრული რებილიტაცია. მიმდინარეობს ქ. ლანჩხუთის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის და ქსელის სრული რეაბილიტაცია.

ქალბატონმა დარეჯანმა განსაკუთებულად აღნიშნა თანამედროვე სტანდარტების

სპორტული დარბაზის მშენებლობა , რომელიც 2025 წლის ბოლომდე დასრულდება რაც, მომხსენებელის თქმით, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას.

დარეჯან ბურჭულაძემ ასევე ისაუბრა დიდთოვლობასა და სტიქიაზე და აღნიშნა, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, საკრებულოს და მერიის ერთობლივი, გუნდური მუშაობის შედეგად ღირსეულად მოხდა ამ ურთულეს გამოწვევასთან გამკლავება. მისივე თქმით, გადაიხურა სტიქიით შედეგად დაზიანებული 5 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და 300-მდე კერძო საცხოვრებელი, დაახლოებით 600 -მდე ოჯახზე გაიცა თანხები სახურავების შესაძენად. მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში მოხდა გაბიონების, სანიაღვრე არხების მოწყობა; ასევე, სტიქიის ზონებში, ჩატარდა გამაგრებითი სამუშაოები.

დარეჯან ბურჭულაძემ ასევე ისაუბრა სოფლებში ჩიბათსა და ორაგვეში მინდინარე ტურისტული ობიექტების შესახებ და აღნიშნა, რომ ტურისტული ლოკაციების მოწყობამ შემოსავალი უნდა მოუტანოს მუნიციპალიტეტს.

სპორტული ცენტრის მესვეურებმა მადლობა გადაუხადეს ცენტრალურ ხელისუფლებას, მერიას და საკრებულოს სპორტული ცენტრის მშენებლობის და იმ ყველა გაკეთებული საქმისთვის, რასაც ნათლად ხედავს მოსახლეობა.

დარეჯან ბურჭულაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი